



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №14
2017 წლის 30 ივნისი
ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული პეტიციის საფუძველზე შესაბამისი
გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის 30 მაისს შემოსული (რეგისტრირებული 31.05.2017 წ) პეტიციის განხილვის შედეგად მიღებულ იქნეს შემდეგი გადაწყვეტილება: სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლის რეაბილიტაცია განხორციელდეს 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.
2. დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გაითვალისწინოს განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი სარეაბილიტაციო თანხების მოძიება.
3. განკარგულების ასლი გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, შ. რუსთაველის ქ. N247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერი ლაშქარავა